№ 250
ᲗᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1894

1877--1894

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 250
ᲗᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1894

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲠᲘ—ᲐᲠᲘᲡ ᲨᲘᲠᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲛᲝᲨᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 21.
ᲤᲐᲡᲘ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ:
და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲩᲐ 1895 ᲬᲚᲘᲡᲐᲒ
ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ:
ᲤᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘ,
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲡ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲗᲐ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ:
ᲤᲘᲤᲚᲘᲡᲘ. Редакція „ИВЕРІА“.

ᲤᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ერთი უდიდესი საქმე სამსოფლიო პოლიტიკისათვის გამომქმედავნდა ამ ბოლოს ხანებში, საქმე იმისთანა, რომელიც დიდს ამბებს მოასწავებს ევროპიერობისათვის საერთოდ, წვრილთა ერთათვის საკუთრივ, თუ თავი დაიჭირა და ფეხი მოიმაგრა სახანგრძლივოდ იმ საფუძველზე, რომლის ქვა-კუთხედი დღეს ასე აშკარად გათვალწინებულია ყოველის კაცის წინაშე.

ეს საქმე იგია, რომ ინგლისმა დღეს შირი და გული იბრუნა რუსეთისაკენ დასაახლოებლად და სამეგობროდ. ეს ამბავი მით უფრო დიერს-შესანიშნავია, რომ დიდ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ თითქმის მთელი ოთხმოცი წელიწადი გავიდა და ამ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში ერთი იმისთანა წუთიც არა ყოფილა, რომ ინგლისი სამტროდ წინ არ დასდგომოდეს რუსეთს ყველგან და ყველაფერში.

ეს მტრობა დაუძინებელი იყო, თუმცა ზოგჯერ დროთა მიხედვით ოდნავ ნელ-ნელ ეცვლებოდა ხასიათი, ზოგჯერ ერთ-ერთ ადგილზედ ცოტა ნელ-ნელ ეფარებოდა

ხომ მეტის-მეტი მტრედული უგუნურება იქნება კაცმა ეს ამბავი იმ მწუხარებას მიაწეროს, რომელმაც ასე შეიპყრო მთელი ევროპა ნეტარ ხსენებულ იმპერატორის განსვენების დღიდამ. პოლიტიკა ერთი უგულო რამ არის და იმ ბუნებისა, რომ მარტო სარეა და გამოჩენა ასულმდგარებს. ამ სარფასა და გამოჩენას იგი ვერ მოსწრის ყურსა და მტლად ვერ დაუდებს მას, რასაც გრძნობა მოითხოვს, თუნდაც დიდად ამაღლებული და დიდად საპატიო.

მაშ რა უჩინარმა მიმეზმა მოჭიდრიჯა რუსეთისაკენ სამეგობროდ ამოდენა ხნის მტრული პოლიტიკა ინგლისისა ეგრე სასწრაფოდ, ეგრე უეცრად? ამის პასუხის გამორკვევა, ვგონებთ, შესაძლებელია, თუ გულში ჩავხედავთ დდევანდელის დღის ბოროტსა, დროთა გარემოებისაგან წინადვე მოგროვილსა და აწ გასაცხრილად, თუ გასანივავებლად მოგვლენილსა.

დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

23 ნოემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ, სადაც რამდენსამე დღეს დაჰყოფენ.

მინისტრთა კომიტეტის, 4 ივლისს ამა 1894 წლ. უმაღლესად დამტკიცებულის დებულებისა, უწმიდესის სინოდის ობერ პროკურორთან წინდაწინვე მოლაპარაკებისა საყურძელით, გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი ამა 1894 წ. სამის სექტემბრისა მე-24 №-რი, რომლითაც მწვალებლობა «შტუნდას» სექტა ეკკლესიისა და სახელმწიფოსათვის დიდად მავნებელად არის ჩათვლილი და ამიტომ ამ მწვალებელთ აღეკრძალებათ საზოგადო კრებების გამართვა სალოცავად.

ს.-პეტერბურგის პირველ. ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებში იძლევიან 6%—101 მან., 5% ჰფასსობს 99 მან. ქუთაისისა—6%-ში იძლევიან 101 მან., 5% ჰფასობს 99½ მან.

ᲙᲐᲜᲘ. აქ დღეს დილით აკურთხეს რუსების ეკკლესია.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „Times“-ი ამტკიცებს, მართალია ის ხმა, რომ ოსმალეთის ჯარი საშინლად სტანჯავს ოსმალეთში მცხოვრებთ ქრისტიან სომხებსაო. ამ საქმის გამო ინგლისმა ოსმალეთს მკაცრი მიწერილობანი წარუგზავნია.

ჩინეთმა აცნობა იაპონიას იმ სამხედრო ხარჯის რაოდენობა, რომელიც უნდა გადამიხ დო, იმ სახელმწიფოთ დაადგინონ, რომელთაც ჩინეთთან ხელ-შეკრულობა აქვთ. 4½% ოქროოთი სესხის შესახებ, რომელ სესხის უზრუნველ მყოფელიც დამოენის დაუქირავებელი შემოსავალიაო.

ჩინეთის ჯარში მოსამსახურე გენერალ, სცდილობს ასი ათასის ჯარისკაცისაგან რაზმი შეადგინოს, რომელსაც უწინამძღვრებენ ევროპიელი აფიცერები. მრავალი ევროპიელი აფიცერი იქნნა მიღებული ჩინეთის სამსახურში, ამათში—უმეტესობა გერმანელები არიან.

საპოლიტიკო მიმოხილვა

ის ამბავი, რომ ინგლისი და რუსეთი ერთმანეთს უახლოვდებიან და დამეგობრებას აპირებენ, სწრაფ მოეფინა მთელის ქვეყნის ყოველ კუთხეს: ბევრი აალაპარაკა, ბევრი იმედი აღაფრთოვანა, ბევრი გააცარუა. ამ საერთო მითქმა-მოთქმაში ყველაზედ საინტერესო ის არის, რაც საფრანგეთიდგანა და გერმანიიდგან მოდის. ამ ორ სახელმწიფოთა მოკიშპე მტრებისთანა ბევრი არ არის ეხლა ევროპაში და ამიტომ ყოველი ახალი განზრახვა, ნაბიჯი რომელისამე უცხო მთავრობისა, პოლიტიკაში, სულ პირველად აქ გამოიწვევს ხოლმე მწვავ სჯასა. თუმცა რუსეთ-ინგლისის ახალ პოლიტიკას ჯერ არავითარი ოფიციალური სარჩელი არ უდევს, თუმცა ეს ახალი პოლიტიკა ჯერ თითქმის უბრალო განძრახვად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მან მაინც აალაპარაკა საპოლიტიკო ჟურნალები, როგორც რესპუბლიკისა, ისევე გერმანიის იმპერიისაც. რა უნდა იყოს აზრი რუსეთ-ინგლისის და ახლოვებისაო, ეკითხებიან თავიანთს თავს ამ ორთავ ქვეყანაში. რადგან ამ კითხვის ასახსნელად საბუთები არა უპირავთ-რა ხელში, ჯერ-ჯერობით თითოეული მათგანი იმ აზრს ასახელებს, რომელიც იმითვის უფრო სასარგებლოა. მაგალითად, ამ ერთის კვირის წინად ფრანგულ გაზეთებს თითქმის სასაცილოდ ჰქონდათ აგდებული ინგლის-რუსეთის დაახლოვების შესახებ გაგრცელებული ხმა. ეხლა-კი რესპუბლიკის პოლიტიკოსებმა კილო იცვალეს. ამ ჟამად არამც თუ შესაძლებლად მიიჩნიათ იმ ორ სახელმწიფოს დაახლოვება, არამედ ამასთანავე საფრანგეთისათვის დიდად სასარგებლოდ სთვლიან. აი რას ამბობს მაგ. გაზ. „Temps“-ი, ეს სერიოზი და პოლიტიკაში შეგნებული რესპუბლიკის ორგანო:

„თუ მართლა დაახლოვება მოხდა, ეს იმას ამტკიცებს, რომ ინგლისსა და რუსეთს შუა რაღაც დიდ მნიშვნელოვანი პირობა დაიდო. მაშინ საფრანგეთიც უნდა დაფიქრდეს, როგორ მიეგებოს ამ დაახლოვებას. ჩვენ დაუყოვნებლივ აღვიარებთ, რომ ყველა პატივსადები მიზეზები გვაიძულებს თანაგრძნობით მივეგებნეთ ამ ახალს გარემოებას. სულ პირველად ის უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთ-ინგლისის დაახლოვება საფრანგეთისგანზედ დარჩენას-კი არ მოასწავებს, არამედ იმას, რომ საფრანგეთმა ამიერიდგან ერთი უძლიერესი მომხრე კიდევ შეიძინაო.

ამის შემდეგ გაზეთი ბოსფორის შესახებ სწერს: „ნუ თუ შესაძლებელია, გაიფიქროს ვინმემ, რომ საფრანგეთს ეწყინება, თუ ბოსფორის სრუტე ყველასათვის ღია იქნება, მაშინ ხმელთა შუა ზღვის ინგლისელების ტბად გარდაქცევა ხომ შეუძლებელი გახდება. თუ თვითონ ინგლისი იტყვის უარს თავისს უპირატესობაზედ, რომლითაც კიპრს, მალტას და გიბრალტარს ერთი-ორად მნიშვნელოვა ეძლევა, რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ იმის ამ განზრახვის წინ არ აღვუდგებითო.

თუ მართლა რაიმე საბუთი აქვს იმ ხმას, რომ რუსეთი ინგლისს უახლოვდება, საფრანგეთი ამ ამბავს დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს. ამ დაახლოვების უპირველესი შედეგი ის იქნება, რომ ევროპის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ღონისძიება მიეცემათ უფრო უშიშრად გაუსწორონ თვალი სამთა კავშირს, და ხმელთა შუა ზღვაზედაც კერძო ბატონობა აღარავის დაეთმობაო“.

სულ სხვა კილოთი ლაპარაკობს გერმანული გაზეთი „Koenisberger Zeitung“-ი: აბა, რა საბუთი აქვს გერმანიას ეჭვის თვალით შეჰხედოს იმ გარემოებას, რომ რუსეთი ინგლისს უახლოვდება, რომ ამ ორს, ერთმანეთის მუდამ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შუა მეგობრობა მყარდება. არც პირველ სახელმწიფოსაგან და არც მეორისაგან ჩვენ მაინც და მაინც გაჭირვებაში შველას არასოდეს არ ველოდით. თუმცა ინგლისი ეხლა, როდესაც რუსეთის შიში აღარ ექმნება, უფრო შორს გაუდგება სამთა კავშირს, მაგრამ არც ამ სამთა კავშირსა ჰქონია როდისმე იმისი იმედი.

თუნდა ისიცა ვთქვათ, რომ ამ ორის სახელმწიფოს დაახლოვება მართლაც ენებას მოგვიტანს, მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის ისე არ იქმნება მავნებელი, როგორც ერთის სხვა სახელმწიფოსთვის. ვინ იცის, იქმნება საფრანგეთს მოაკლდეს ის წაწილი რუსეთის მეგობრობისა, რომელსაც რუსეთი ინგლისს გაუწაწილებს, იმ ინგლისს, რომელიც საფრანგეთს, როგორც თვით ინგლისელები ამბობენ, უფრო მეტად ეჯავრებათ ისინი, ვიდრე ვეჯავრებით ჩვენ, გერმანელები.

ამ ამბებში ჩვენთვის კერძოდ საყურადღებო ის არის, რომ თუ მართლა ინგლისი რუსეთს დაუახლოვდა, მაშინ ბოსფორის სრუტე ყველასათვის ღია იქნება და შავ ზღვაზედ რუსეთის გემებთან ერთად ყველა სახელმწიფოს გემები ივლიან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქართველოსათვისაც, რადგან მისი აღმა-ბიეკემობა უფრო გაძლიერდება და ჩვენს შავს ზღვაზედ მდებარე ქალაქებს მნიშვნელობა ერთი ათად და ერთი ასად უფრო მიემატება.

ახალი ამბავი

—

*** როგორც ჩვენს მკითხველებს ვაუწყებდით, 17 ნოემბერის მიწის ძვრას გარდა იმისა, რომ კავკასიის დედათა ინსტიტუტის საავადმყოფოს განყოფილების კედელი გაუპია, იმავე ინსტიტუტის მისაღებ დარბაზს, სადაც იმპერატორის სურათი ჰკიდია, თავიდგან ბოლომდე გარღვეევია ჭერი. აგრეთვე შესამჩნეევად გამსკდარა ნავთლუხის სამხედრო საავადმყოფოს კედელი, რომელიც ძალიან მკვიდრად ნაშენი იყო. თურმე მთაწმიდის მცხოვრებთა ძველი შენობებიც ზოგან ისე დაუზიანებია, რომ ზოგიერთი მთგანი იძულებულნი თურმე არიან სხვაგან გადასვლას. ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანის კედელი რამდენსამე ადგილას გახეთქილა, აგრეთვე ავლაბარში მაისურიანცის სახლი ძალზედ დაუზიანებია, ისე შეეშინდათ თურმე ამ სახლში მყოფთ, რომ ზოგმა სახლის კარებსაც ვერ მიაგნო და არ იცოდა საიდგან გასულიყო, როდესაც სახლის ჭერში ერთმამად საშინელი ხმაურობა შეიქმნა და რახა-რუხით წამოსულან ბუხრის აგურები. უბედურება არა მომხდარა-რა.

*** კახეთი. ყინვების გამო ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით კახეთ-ანაანურის ამ შემოდგომაზედ დაწყებული გზა ტკეცილის კეთება მომავალის წლის გაზაფხულამდეს შეაყენეს.

*** თიანეთი. 17 ნოემბერს თიანეთშიაც იყო მიწის ძვრა, რომელიც ორსა თუ სამს წამს გასტანა. მიწის ძვრა თუმც საკმაოდ საგრძნობელი იყო, მაინც ზიანი არა მიუცია-რა.

ში თითონ თქვენც გისაყვედურებთ ᲙᲝᲪ-და-ოთხს საათსგაძლევეთ ვადას... ამ გვარი ბრიყვი მსახურები აღარ შეინახოთ...

გაჯავრებით უთხრა უფროსმა გზის დარაჯთა უფროსს. უკანასკნელმა ხმა-ამოუღებლივ დაუქნია თავი უფროსს. სიმონამ ყური მოჰკრა უფროსების ლაპარაკს და გული ბოლმით აევსო. სისხლი ყელში მოებჯინა, მაგრამ მაინც-კი თავი შეიმაგრა და ხმა-ამოუღებლივ თავისის სადარაჯოს მიჯნამდის უფროსები მიაცილა.

როცა უფროსები თავისს მიჯნას გააცილა და ნება მიიღო სადარაჯოში დაბრუნებისა, სიმონამ აქ-კი ვეღარ მოითმინა და გაბედვით უთხრა უფროსს:

— ბატონო, სულ ტყუილად მდებთ დანაშაულს...

— დაჩუმდი... შე, დათვო, შენა, და დამეკარგე აქედგან...

შეუკავლა სიმონას უფროსმა და თავისი გზა განაგრძო. სიმონა კარგა ხანს გაჰყურებდა ქვევით მიმავალს უფროსებს, ბოლოს საშინლად ამოიოხრა და სახლისაკენ გამოტრიალდა. რაც სახლს უახლოვდებოდა, სიმონას მუხლები ეკეცებოდა, თავი საშინლად უბრუვდებოდა და ისინი იყო წაეკეცოდა, ბედზე მარინე რომ არ დაჰხვედროდა. მარინე საშინლად შეაშინა სიმონას გაფითრებულმა სახემ, მკლავზ დ ხელი წაავლო და შეეკითხა:

— კაკო, რასა ჰგევხარ, ავად ხომ არ გახდი?

სიმონა ხმას არ იღებდა და ამან უფრო შეაშინა მარინე.

— რას გაჩუმებულხარ! აღარ იტყვი, რა დაგემართა? ხელმეორედ შეეკითხა სიმონას მარინე.

— არაფერია... გაივლის... უპასუხა სიმონამ.

ცოლ-ქმარნი სახლში მივიდნენ. სიმონა გარეთ ხის ჩრდილში მწვანეზედ წამოწვა, მარინეც იქვე გვრიდით მოუჯდა და პატარა ბავშვებიც მშობლებს შემოეხვივნენ. სიმონამ მიიხედ-მოიხედა, შეეხედა ბავისს შვილივით შეზრდილს ბაღჩას, გადმოხედა თავისს შვილებს და ერთი-კი წამოიძახა „მშვიდობითო!“ და ამ ჯანლონით სავსე ადამიანმა საშინელი ქვითინი მორთო. მარინე გაოგნებული შესცქეროდა ქმარს და ეკითხებოდა: „კაკო, რა დაგემართაო?“ პატარა ბავშვები მამას მისცვივდნენ, ერთი მხარზედ მიეყრნდო, მეორე—მუხლებში ჩაუჯდა, შეჰყურებდნენ მომტირალს მამას და წამდაუწუმ ეკითხებოდნენ: „ლა იყო, მამა!.. ვაქკაცის ცრემლმა დედაკაცი და ბავშვებიც აატირა... პატარა ოჯახი სტიროდა და მიზეზი ტირილისა კი მხოლოდ ოჯახის უფროსმა იცოდა... კარგა ხანს ტიროდა სიმონის ოჯახი, ბოლოს იჯერა გული სუმონამ, გულზედ მოეშვა და გულ-ამოსკვნით უთხრა მარინეს.

— დედა-კაცო, შენ რაღა გატირებს...

— იგივე რაც შენა, მაგრამ რომ არას მეუბნები!

— რა გითხრა, აი დღეს თუ არა, ხვალ შეიტყობ!

— უფროსი ხომ არას გაგიწყრა?

— გამიწყრა? მაშ პირში მაკოცებდა მართლის თქმისათვის?

— ახია შენზედ! სულ იმას ეუბნები, კაცო, რომ თავის დაჭერა იცოდე-მეთქი!. უფროსთან მაინც მორიდებული იყავი...

— ნეტავი შენ, დედაკაცო! მართალი როცა ვარ, რად დავიუმდე, სხვის დანაშაული მე რად ვიტვირთო?

— არა და ეხლა აიკიდე ბარგი და მათხოვარად იარე...

— მაგრეც არ არის საქმე, ღმერთი მოწყალეა... მართალს კაცს ღმერთი როდი გასწირავსო, ხომ გაგიგია.

ცოლ-ქმარნი ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ სადარაჯოსთან ჩამოიარა დარაჯთა უფროსმა, შენიშნა გარეთ სიმონა და თავისთან დაუძახა.

— ვწუხვარ-კი, სიმონ, უთხრა სიმონს უფროსმა, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ჩემი ბრალი არაფერია.

— მაშ დამითხოვეს? დაღონებით ჰკითხა უფროსს სიმონამ.

— განა შენ თითონ არ იცი შენი ნაკლი?

— იმიტომ, რომ პირში მართლის მთქმელი ვარ განა! სამსახურში ხომ არაფერი ნაკლი არა მაქვს-რა. მაშ ნუ თუ მარტო მართალის სიტყვის გულისათვის ულუკმა-პურად უნდა დავრჩე და უნდა გავშორდე ჩემს ოფლით მორწყულ სადარაჯოს კარმიდამოს?

— ნუ გეშინიან, სიმონ, ვეცადნეთ, რომ სხვა ალაგი რამე გიშოვნოთ. ანუგეშებდა უფროსი სიმონს...

— გათავებულია! რკინის გზაზედ მე ადგილს ვეღარ ვიშოვნი! ნეტავი მამულ-დედული, სახლ-კარი მაინც არის მქონდეს, რომ იქ დავბრუნდე...

— ხვალ დილით ამოდი სადგურზედ და იქ ვიფიქროთ...

უთხრა უფროსმა სიმონს და სადგურისკენ გასწია...

სიმონი დაღონებული დაბრუნდა სადარაჯოში.

— რა გითხრა უფროსმა, შეეკითხა მარინე სიმონს.

— ხვალ ამოდი სადგურზე, ჩემი თანამდებობა უნდა გადმოქცეო... მწარე ღიმილით უპასუხა სიმონმა...

— მაშ დაგითხოვეს?..

— ჯერ არა, ამაღამაც ვიდარაჯებ, და შემდეგ კი მშვიდობით ჩვენო პატარა ქოხო! შენი ხბაკი შეჰკარი, ხომ იცი, რაკი დაგვითხოვენ, აქ დიდხანს აღარ გვაბოგინებენ.....

შებინდდა. სიმონმა საყარაულო ფარანი აიღო ხელში და თავისის გზის სინჯვას შეუდგა. თუ როდისმე ოთხის წლის განმავლობაში დარაჯობა სიმონა და გაფაციცებით სინჯავდა

*** სატახტო ქალაქის გაზეთებში ვკითხულობთ, რომ კავკასიის მთავარ-მმართველი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი კიდევ ორს კვირას დარჩება პეტერბურგში, რადგანაც სახელმწიფო საბჭოში ჩქარა აქმნება წარდგენილი პროექტი კავკასიის მმართვის შესახებაო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ“. გაუგონია, რომ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის შუამდგომლობის გამო, ფინანსთა სამინისტროს 80,000 მანეთი გადაუდვია კახეთის საფოსტო გზა-ტკეცილის შესაკეთებლადაო.

*** ს. ქარელი. აქ ურს ერთ კლასიან სასწავლებელს შენობისათვის თავადმა იოასონ დავითის ძემ ციცაშვილმა შესწირა ადგილი, რომელიც 1,000 მან. ღირს. ეს ადგილი სასწავლებლის მმართველებმა უკვე ჩაიბარეს. ახლა ის-ღაა საზრუნავი, რომ სასწავლებლის შენობა იქმნას აგებული.

*** დედოფალ მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობაზედ დაარსებულ ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოს 1 ოქტომბერს 1894 წ. ჰქონია 34,914 მან. და 70 კ., ოქტომბრის თვეში შემოსულა 1,282 მ. 20 კ. ამავე თვეში დაუხარჯავთ 1096 მ. 99 კ. პირველ ნოემბრისათვის დარჩენია 35,169 მ. 91 კ. ოქტომბერში ამ განყოფილების თვალების სავადმყოფოში 237 ახალი ავადმყოფი ყოფილა, რომელთაც 2172-ჯერ მოსდომებიათ სავადმყოფოში მისვლა-მოსვლა. ამავე ფრაზის 50 ავადმყოფისათვის გუკეთებიათ ოპერაცია.

ნაწყვეტები

—

კისკასნ კედლადა შეკლასა,
მანტ ამარდა პირა,
მითხრა: „ნუ ალი სიკეკოს,
ის ჩკენნი მეტად ტკარა...
მე რაკქნა თუ შენ სხვისაკან
შეკლა, აღდგენა გეჩარა;
მითქკამს და კიტყვი კეკლა კიდეკ,
სიკეკოე ჩკენში ტკარა!“.

დ. ნინოწმინდელი

რუსეთის ცხოვრება

—

17 ნოემბერს მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი ქველ-მოქმედი ქალი ბარბარე ანდრიას ასული ალექსეევისა. ამ ორის წლის წინად განსვენებულმა 100 ათასი მანეთი შესწირა „ყველა წმიდათა ეკლესიაში“ თავშესაფარის ასაშენებლად. ეს თავშესაფარი ძალზედ მხეოვან და დასახიჩრებულ აფიცრებისათვის არის დანიშნული. წარსულს ზაფხულს მოსკოვის უნივერსიტეტს შესწირა 70 ათასი მანეთი უნივერსიტეტის საავადმყოფოსთან ამბულატორიის დასაარსებლად. გარდა ამისა, განსვენებული, სხვა-და-სხვა დროს საკმაოდ დიდს ფულსა სწირავდა მოსკოვის სხვა-დასხვა დაწესებულებასა და ეკლესიებს. სხვათა შორის მისგან შეწირულის 30 ათასი მანეთით მოსკოვის სამოსწავლო ინსტიტუტთა ეკლესია ააგეს. 200 ათასი მანეთი შესწირა თვალების საავადმყოფოს, 100 ათასი მანეთი—მოსკოვის უნივერსიტეტს, 100 ათასი მანეთი—მოსკოვის საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებელს, 100 ათასი მანეთი—ქალაქის საბჭოს პირველ დაწყებით საკომერციო სასწ ვლებელს დასაარსებლად; 50 ათასი მანეთი—მოსკოვის საკომერციო სასწავლებლისათვის; 50 ათასი მანეთი გადასცა ქალაქის საბჭოს, ღარიბ გასათხოვარ ქალთათვის დასარიგებლად; 25 ათასი მანეთი—ღარიბ ნოქართა დასარიგებლად და სხვა მრავალი საქველმოქმედო საქმე ჩაუდენია. სიკვდილის დღეს ანდერძათ დაუტოვებია, რომ დასაფლავებისა, მე-9, 20 და 40 დღეს ალპი გაუმართონ ღარიბ ხალხს.

კორესპონდენცია

—

ქ. ოზურგეთი (გურია). 25—26 სექტემბერს აქ გამართული იყო აქაურ დედათა ორ-კლასიან სასწავლებლის სასარგებლოდ ლატარია-ალეგრი. აქ უნდა დავსძინო, რომ ეს დედათა სასწავლებელი აქაურ მკვიდრთა სასურველად ვერ არის მოწყობილი სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, რომელთა დასახელების ნებას გარეშეა ვარ გვაძლევს... ამიტომაც, ტყუილად კი არ მოეპყრნენ გულგრილად აქაური მცხოვრებნი გამართულ ლატარიას. ამას თავი დავანებებ, ოღონდ ეს ვიცოდეთ, ეს ფულიანი ლატარია ვინ ვინ ან ვინ ან ვინ ან ... ...

შვილისა, ბ. მაკსიმოვისა, ნ. გამოერელიანისა, ტარიელოვისა და სხ. კლება კ. ეფიანი, ს. სვიმონაძე, მ. ბეგლეკოვი, კ. შთარაშვილი, ბ. კანდელაკი, კ. მარკანოშვილი, ი. ცაგარელი, ვ. :დამა, ვ. ბუნია და სხვ. ბონ. და ეფ. მესხნიც ამქნებას მოწეულნი. რეკომენდაციად დანიშნულია ვ. ბუნია, ადმინისტრატორად—მ. კვლიაშვილი. ამ სეზონში კვირაში ორჯელ იქნება ქარიელი წარმოდგენა. ახალი პიესები: „ანდერმინ“, კომ. 1 მოქ. კ.ადმ. ვ. ბუნიასი; „დენიზა“, დრამა 4 მოქ. დიუმაშვილისა, თარგ. კ. ბაქრაძისა; „დანსოშვა“, დრამა 3 მოქ. თარგ. ნიკ—ნისა; „მეერმა“, დრამა 5 მოქ. ბანისა, თარგ. კ. ეფიანისა; „მა ეფილ-ედელი“, დრ. 4 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. კ. კ.; „მეშაი და ნეტარა“, დრ. 5 მოქ. ეფერონესი, თარ. ბეტ. ეფიანისა; „პატიოსნენა“, დრამა 4 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. ს. ახნაზაროვისა; „ეკეობიტენი“, დრამა 5 მოქ. ფრანსუა კოპეესი, თარგ. ბეტ. ეფი—სა; „სეკილელი დალაქი“, კომ. 4 მოქ. ბოგარშესი, თარგ. დიმ. ეფიანისა; „სერეტანინ“, დრამა 5 მოქ. ეფერეფესი, თარ. №—სა; „ცეცხლნი ბეეტანი“, დრამა 3 მოქ., თარგ. კონ. ნასიძისა; „ბეტი გზა არ არის“, დრამა სურათი 1 მოქ., თარგ. ბეტ. ეფიანისა. ძველი პიესები: „ეკურა“, კომ. 5 მოქ. ბ. ერისთავისა; „ბორეადი“, დრამა 4 მოქ. სუმბოთოვისა, თარგ. ს. ახნაზაროვისა; „ბედს კერ წეუნვალ“, დრამა 4 მოქ., თარგ. მანი მან. ნასიძისა; „და-ძმა“, დრამა 5 მოქ. ბ. ბუნიასი; „მარგარიტა გოტიე“, დრ. დიუმასი, თარგ. ბოგში.; „მესიე ალფონსი“, დრ. 4 მოქ. თარგ.; „ორი ობოლი“, მელოდრ. 5 მოქ. თარ. ს. ცაგარელისა; „პატარა კეხი“, დრ. 5 მოქ. აკეკესა; „პარაკეის დეტეკენი“ მელ. დრ. 5 მოქ. თარ.; „სიშმობლო“, დრ. 5 მოქ. ბ. ერისთავისა; „სტუმარი“ დრ. 2 მოქ. ბრანდესისა თარგ. ი. მ.; „ეკარეკარე ათასგა“, დრ. 5 მოქ. ბ. ერისთავისა და სხვა-და-სხვა ეოდეკელები და სტენები.

ᲕᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

—

რადგანაც ზოგიერთებს ᲗᲒᲝᲜᲘᲐᲗ, რომ ᲩᲝᲠᲐᲡᲐ და ქარიელ ქალების მიმართ გამოგზავნილი საერთო პასუხი ზემო ქართველ ქალისაგან მემეკუთვნის, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში ორიოდე სტეკეით აღნიშნოთ, რომ არამც თუ მარტო ამ წერილში კარ ეგნო, არამედ საზოგადოდ ქალთა შორის აღმოჩენილ პოლემიკაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია*).

ანასტასია ერისთავისა

ᲨᲔᲛᲝᲬᲕᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

—

მივიღეთ დ. ოჩაშვილიეფდან გამოგზავნილი ბ-ნ კ. გვასალიასაგან ხუთი მანეთი ქუთაისის თეატრის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფულისა გვქონდა 19 მან. 30 კაპ., ამითი შეადგა 24 მან. 30 კაპ.

*) ვაცხადებთ, წერილის ავტორის სურვილისამებრ, რომ არც ზემოქართლელ ქალის წერილი და არც სხვა წერილები, ქალთა შესახებ დაწერილი „ივერია“-ში ქ ნ ანასტასია ერისთავის ასულს არ ეკუთვნის.

რედ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ორშაბათს, 14 ნოემბერს, ღამის 12 საათზედ, **ᲕᲘᲙᲝᲠᲘᲡᲗᲔᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲩᲔᲛᲝᲛᲦᲔᲜᲘ**, სადაც სხვათა შორის **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ 1894**-ის წელს ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული ნასყიდობის **ᲫᲐᲚᲚᲐᲚᲔᲑᲘ** როგორც სჩანს, ეს ქალალდები თავად ციციშვილებს უნდა ეკუთნოდეთ. ვთხოვთ მოიკითხონ მეორე მალაკნის ქუჩაზედ სახლი № 42.

(1—1912—1)

ᲙᲝᲜᲪᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

3. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიავშვილი.

(50—5.—39)

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. ზარაძის მიერ

გამოცემა მ. ზარაძისა ᲥᲐᲛᲮ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიკეროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავაერთქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ. წერეთლისა და ბეფანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

პირველი კერძო სამეურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობითი:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახიერურგიო ვენერიული და ლიფილისი.

ე. მ. ᲩᲝᲥᲝᲜᲘ, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. ᲒᲠᲣᲯᲐᲫᲔ, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

Ა. ᲤᲐ. ᲑᲠᲝᲢᲐᲡᲘᲫᲔ, 11½—12½, საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ᲥᲐᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ Ს. Მ. ᲢᲣᲠᲑᲝᲖᲝᲩᲘ. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

Ს. Შ. ᲙᲐᲠᲐᲨᲐᲢᲘᲜᲪᲘ, 1—1½, საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობითი:

Გ. ᲒᲣᲠᲯᲐ, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

Ბ. Ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7½, საათამდის.

Ე. Ა. ᲤᲐᲠᲜᲚᲘᲝᲣᲡᲘ, 7—7½, საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ბ. კალანდაძესთან.

ᲒᲐᲜᲯᲐᲨᲘ დ. ქვლივიძესთან.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲨᲘ და ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲨᲘ კ. თავართქილაძესთან.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ

მოთხრობა

Ე. ᲜᲘᲜᲝᲬᲕᲘᲚᲘᲡᲐ

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ

„წერა-კითხვის საზოგადოების“

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	4
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუთმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
სატაური ან. თუთმანიშვილისა	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და ინსი მოცლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანი-დამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისს:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„	. . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელი ს წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეშე მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВѢРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲒᲐᲜ სხვა ადგილს გადავიდა სალმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანსკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოანგარიშება ამის გ�dლობაზე, რამდენს ადგილს�დ დაიკერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საკაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს ხოლო წერილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზოვის ქუჩაზე, 21.



ვერცხლისა

ოქროსი

ტფილ. გამოფენა.

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

Ა. Ა. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲘᲐᲠᲐᲛᲣᲪᲐᲖᲔ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემს ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვალლეკ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ-ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შედეგილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფერთ, მახვედის ხდ-ზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთნის; ალექსანდრეს მუნეთოვების სახლის კრაში მწკენე ფარად-ედანგთ, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; ღ ადგილ ფარად ავკლდის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა ბალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენდს, ლაქს, კისტებს, ბრონზს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დარიგად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც კუშაკი საქ. ეს გასაკეთებად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში, თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—37

ალალ თუთაევი

Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Ноября 1894 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲫᲔᲜᲘᲡᲬᲝᲚᲘᲡᲐ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.